

სამოსამართლო გამოცდილების შქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის მიხეილ ჯინჯოლიას შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით			
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input checked="" type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა	
სამართლის წორმების ცოდნა	19	20	
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20	
წერის უნარი	17	20	
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15	
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15	
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წერთხა	4	5	
პროფესიული აქტივობა	4	5	
ქულათა ჯამი	90	100	

გოგა კიკილაშვილი



14 / 04 / 2025

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
არამოსამართლე წევრი
გოგა კიკილაშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“) 2024 წლის 30 დეკემბრის №1/161 (ცვლილება შევიდა 2024 წლის 31 დეკემბრის №163 განკარგულებით) განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის

მიხეილ ჯინჯოლიას
შეფასება

1. პროცედურის შესახებ:

- „საბჭოს“ 2024 წლის 30 დეკემბრის №1/161 (ცვლილება შევიდა 2024 წლის 31 დეკემბრის №163 განკარგულებით) განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევიდ.
- „საბჭოს“ 2025 წლის 05 თებერვლის №1/14 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა მიხეილ ჯინჯოლია (შემდგომში - „კანდიდატი“).
- „საბჭოს“ შესაბამისა სამსახურმა, „საერთო სასამართლოობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - „კანონი“) 34^o მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია „კანდიდატის“ შესახებ, რომელსაც გავეცანი დაქალურად.
- „კანონის“ 34^o მუხლის შე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2025 წლის 06 მარტს, ჩემი მონაწილეობით, „საბჭომ“ ჩატარა „კანდიდატის“ საჯარო მოსმენა.
- საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „კანონის“ 34^o მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, „კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების შემნებელი კანდიდატი, შევაფასე - „კანონის“ 35^o მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. „საბჭოს“ შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

- 2.1.1. „კანდიდატი“ 37 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (სამართლის მაგისტრი, თსუ). სპეციალობით მუშაობს 14 წელია, მათ შორის - მოსამართლედ 4 წელზე მეტია წლილია.

- 2011 წ. ოქტომბერი - 2012 წ. ოქტომბერი - საქართველოს მთავარი პროცესუატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტის სტაჟიორი;
- 2012 წ. დეკემბერი - 2013 წ. მარტი - საქართველოს მთავარი პროცესუატურის ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლისსამართლებრივი დეპარტამენტის უკანონო

შემოსავლის ლეგალურაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამშართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი;

- 2013 წ. მარტი - 2016 წ. თებერვალი - საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამომძიებო ნაწილის უკანონო შემოსავლის ლეგალურაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამშართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი;
- 2016 წ. თებერვალი - 2019 წ. მარტი - ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საგამომძიებო ნაწილის უფროსი გამომძიებელი;
- 2019 წ. მარტი - 2020 წ. იანვარი - იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი;
- 2020 წ. დეკემბერი - 2021 წ. აგვისტო - თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლე;
- 2021 წ. აგვისტო - 2022 წ. იანვარი - თბილისის საქალაქო სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე;
- 2022 წ. იანვარი - 2022 წ. ნოემბერი - თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე;
- 2022 წ. ნოემბერი - დეკემბერი - თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე.
- 2023 წლის 1 დეკემბერს მოსამართლის თანამდებობაზე განწესდა უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

2.1.2. „კანდიდატის“ შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები გამოიჩინება მოსახურებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის პრინციპულობას, შრომისმოყვარეობას, კეთილსინდისიერებას, მინაგან კულტურას, კომპეტენციას, პასუხისმგებლობის გრძნობის უნარს და მოსამართლის სტატუსისათვის შესაფერის სხვა აუცილებელ თვისებებს.

2.1.3. „კანდიდატის“ შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მის მიერ განსილებულ საქუებთან დაკავშირებით. „კანდიდატი“ არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი /მხარდამჭერი/ შემომწირველი.

2.1.4. „კანდიდატის“ სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; აქვთ მიმდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორიით. „კანდიდატის“ საკუთრებად უძრავი ქონება არ არის რეგისტრირებული. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია არის შესაბამისობაში ქონებრივი მდგრმარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის.

2.1.5. ბოლო სამი წლის განმავლობაში, „კანდიდატს“ უფისირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის 6 ფაზები. დაკისრებული სანქციები გადახდილია დროულად „კანდიდატის“ მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება არ განხორციელებულა.

2.1.6. ბოლო სამი წლის განმავლობაში კანდიდატის შესახებ მიღებულია შემდეგი სტატისტიკური ინფორმაცია:

- საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა: ვადის დაცვით - 100%
- გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა: ვადის დაცვით - 100%
- გასაჩივრებული გადაწყვეტილებათა სტაბილურობა - უცვლელი 96,3%, შეცვლილი 3,7%
- საანგარიშო პერიოდში (990 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 5203 საქმე.

2.1.7. „კანდიდატმა“ წარმოადგინა მის მიერ განხილულ 3 სისხლის სასამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენი რომელთა შესწავლით ირკვევა, რომ გადაწყვეტილებებში არ არის

გამოყენებული სამეცნიერო წყაროები, არგუმენტაციის გასამყარებლად უპირატესად მოშველიებულია მხოლოდ სასამართლო პრაქტიკა. ვისურვებდი ამ კომპონენტის შეცვებასაც საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ მოქმედი მაღალი სტანდარტის შესაბამისად, ისეთი ფორმით და მოცულობით, რომ არ გადაიტვირთოს სასამართლო გადაწყვეტილება დიდი და რთული ტექსტებით და არ შეიქმნას მხარეების მიერ გადაწყვეტილების შინაარსის აღქმის პრობლემა.

2.1.8. „კანდიდატს“ მონაწილეობა აქვს მიღებული რიგ სასწავლო ღონისძიებებში, მაგ:

- 2020 წლის 18 დეკემბერი - 2020 წლის 19 დეკემბერი - არასრულწლოვანთა მართლმაჯულება - იუსტიციის უმაღლესი სკოლა.
- 2021 წლის 22 მარტი - 2021 წლის 25 მარტი - კიბერდანაშაული და ელექტრონული მტკიცებულებები - EU4JUSTICE.
- 2022 წლის 4-5 ივნისი, ბაკურიანი, ევროპის საბჭოს (CoE) საპილოტე სემინარი - „სქესობრივი დანაშაული“.
- 2022 წლის 23-24 ივლისი, კომპლუქსი ლოპოტა, ევროპის საბჭოს ოფისის (CoE) და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) მიერ ერთობლივად ორგანიზებულ სემინარი - „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა“.
- 2022 წლის 29-30 ოქტომბერი, კომპლუქსი ლოპოტა, ევროპის საბჭოს ოფისის (CoE) სემინარი - „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები და მნიშვნელოვანი განმარტებები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე“.
- 2023 წლის 15-17 მარტი, წინანდაღი, სისხლის სამართლის პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებული.
- 2023 წლის 7-9 აპრილი - დანაშაულისა და ძალადობის მოწმე ბავშვები - EU.
- 2023 წლის 1 და 2 ივლისი, კახეთი (სახტუმრო „ლოპოტას ტბა“), იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ ევროპის საბჭოს ოფისის (CoE) და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) მხარდაჭერით დაგეგმილი ტრენინგი - „სქესობრივი დანაშაული“.
- 2023 წლის 20-22 ოქტომბერი, ლიკანი, გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით გამართული სამუშაო შეხვედრა - „სამოსამართლო ეთიკა“.
- 2023 წლის 6-8 დეკემბერი, წინანდაღი, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით გამართული სამუშაო შეხვედრა.
- 2024 წლის 8 ივნისი, თბილისი, იუსტიციის უმაღლესი სკოლის ტრენინგი - „საქართველოს საკონსულტოციო სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები (პრეცენდენტები)“.

2.1.9.

კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით (2018 წლის 28 ივლისი)

კანდიდატს ჩაბარებული აქვს აღვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით (2009 წლის 11 დეკემბერი)

2.1.10. „კანდიდატი“ არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

2.1.11. „კანდიდატი“ ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

2.2. კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:

2.2.1. „კანდიდატს“ საჯარო მოსმენის დროს კანდიდატს „საბჭოს“ წევრებმა დაუსვეს ზოგადი და სამართლური შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

2.2.2. დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული. „კანდიდატი“ პასუხის ჩამოყალიბების დროს მოიშველია ადგილობრივი და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკა.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

3.1. „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების კრიტერიუმი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
- ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
- გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;
- დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;
- ე) ფინანსური ვალდებულება – მხოლოდ სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის ან რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესებული მოსამართლის შეფასების შემთხვევაში.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმაცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი და აკმაყოფილებს ზემოჩამოთვლილ მოთხოვნებს, თუ შემფასებრიდის წინაშე არ არის წარმოდგენილი ამ პრეზუმაციის გაქარწყელებისათვის საჭირო სათანადო და სანდო ინფორმაცია.

3.2. საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატის შესახებ მიღებული/მოძიებული ინფორმაციის¹ ანალიზიდან გამოიმდინარე, მივიჩნიე, რომ:

3.2.1. „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მახასიათებლით – „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი“ შეფასების დროს კანდიდატის მიმართ მოქმედებს პრეზუმაცია, რომ ვიდრე სათანადო და სანდო მოსამართლეობით არ დადასტურდება საწინააღმდეგო, კანდიდატი აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

„კანონის“ 35¹ მუხლის მე-4 პუნქტით განისაზღვრება ზემოხსენებული კრიტერიუმის კომპონენტები: „კანდიდატის“, როგორც მოსამართლის და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამქვირვალობა, კორსექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგრადირეობის დაკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა, აგრეთვე, სიმართლისმოყვარეობა.

მოიცებული ინფორმაციის შესწავლის და მოსმენის შედეგების შეფასების შედეგად არ იკვეთება გარემოება, ან/და ინფორმაცია, რომელიც გააქარწყელებდა პრეზუმაციას, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს ყველა ზემოხსენებულ კომპონენტს, შესაბამისად, მიმაჩნია, რომ იგი აკმაყოფილებს „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის“ მახასიათებელს.

¹ ის. წინამდებარე შეფასების მე-2 პუნქტი.

3.2.2. მოძიებული ინფორმაციის შესწავლის და მოსმენის შედეგად შემცემა შთაბეჭდილება, რომ „კანდიდატი“ არის დამოუკიდებელი და პრინციპული პიროვნება, ავლენს ზეგავლენის მიმართ მედეგობას და პიროვნული სიმტკიცეს.

შესაბამისად, მიმაჩნია, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული² „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის“ მახასიათებელს.

3.2.3. „კანდიდატი“ კორექტულია კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, არის თავდაჭერილი, აქვს საკუთარი ემოციების მართვის უნარი, იცავს სამოსამართლო ეთიკას, აქვს მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმუჯრ. ამიტომ, დავრწმუნდი, რომ ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სსვაგვარი სამართალწარმოება) დროს, კანდიდატის ქცევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი/სამართლურივი რეალობის ადეკვატური.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „პიროვნული და პროფესიული ქცევის“ მახასიათებელს.

3.2.4. „კანდიდატის“ აქვს მაღალი საქმიანი და მორალური რეპუტაცია/ ავტორიტეტი იურიდიულ წრეებში; ამ დასკვნის გამაქარწყლებული, ასევე - მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის“ მახასიათებელს.

3.2.5. „კანდიდატის“ შექმნავლის წყაროს და ოდენობის, აქტივების, მის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ქონების და მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ერთობლივად გაანალიზების შედეგად, მივიჩნიე, რომ არ არსებობს წინააღმდეგობა მოსამართლის ქონებრივ ინტერესებსა და მართლმარცვლების ინტერესებს შორის, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს საფრთხეს მოსამართლის მიუკერძოებლობისადმი.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „ფინანსური ვალდებულების“ მახასიათებელს.

3.2.6. ვინაიდან მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“ კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5-ვე მახასიათებელს აკმაყოფილებს, გავაკვთე „კანონის“ 35¹ მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დასკვნა: „კანდიდატი“ სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. „კანდიდატის“ შეფასება ეფუძნება საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატის შესახებ მიღებული/მომიებული დოკუმენტური მასალების (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზს, რის შედეგადაც შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით მივედი შემდეგ დასკვნამდე:

² კომპონენტები განისაზღვრება იმავე მუხლის მე-5 პუნქტით.

4.1.1. „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის - „სამართლის ნორმების ცოდნა“² მაქსიმალური შეფასება ამავე „კანონის“ 35¹ მუხლის მე-17 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად შეადგენს 20 ქულას.

ას შეფასების ზემოთ, 2.2.2 პუნქტი აღწერილი შეცდომების/ ხარჯების შემთხვევების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატს გააჩნია მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ურობული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის საკმაოდ კარგი ცოდნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე „სამართლის ნორმების ცოდნის“ კომპონენტში „კანდიდატს“ ვაფასებ 19 ქულით.

4.1.2. „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის „სამართლუმცვი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია“³ მაქსიმალური შეფასება „კანონის“ 35¹ მუხლის მე-17 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად შეადგენს 20 ქულას.

„კანდიდატს“ გააჩნია ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი და მოსამართლედ მუშაობის სათანადო პროფესიული გამოცდილებაც. მის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებები დასაბუთებული და დამაჯერებელია, თუმცა, გასათვალისწინებელია 2.1.7 პუნქტი აღწერილი ხარჯები.

„სამართლუმცვი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის“ კომპონენტით „კანდიდატს“ ვაფასებ 18 ქულით.

4.1.3. „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის - „წერის უნარი“⁴ მაქსიმალური შეფასება ამავე „კანონის“ 35¹ მუხლის მე-17 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად განისაზღვრება 20 ქულით.

„კანდიდატის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დავადგინე, რომ „კანდიდატის“ მსჯელობა მირითადად ლოგიკური და ანალიტიკურია, გასათვალისწინებელია შეფასების 2.1.7 პუნქტში აღწერილი გარემოებები აღნიშნულიდან გამომდინარე „კანდიდატს“ „წერის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით ვაფასებ 17 ქულით.

4.1.4. „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის - „ზეპირი კომუნიკაციის უნარი“⁵ მაქსიმალური შეფასება ამავე „კანონის“ 35¹ მუხლის მე-17 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად შეადგენს 15 ქულას.

„კანდიდატი“ გამართულად მეტყველებს, აზრს წაოლად და გასაგებად გადმოცემს, ფაქტების ანალიზის საფუძველზე მსჯელობს ლოგიკურად, ღიაა და სხვის აზრს (მათ შორის - განსხვავებულს) ისმენს მოთმისებით.

„ზეპირი კომუნიკაციის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ ვაფასებ 14 ქულით.

¹ კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-9 პუნქტით.

² კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-10 პუნქტით.

³ კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-11 პუნქტით.

⁴ კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-11 პუნქტით.

4.1.5. „კანონის“ 35⁷ მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმი „პროფესიული თვისებები (მათ შორის, ქვევა სასამართლო დარბაზში)“ ამავე „კანონის“ 35⁷ მუხლის მე-17 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად ფასდება არაუმტეტეს 15 ქულით.

„კანდიდატი“ პუნქტუალური, გულმოდგრნე, შრომისმოყვარე და მიზანდასახულია, აღჭურვილია კარგი მენეჯერული უნარ-ჩვევებით; საქმეს ამზადებს ჯეროვნად და სათანადო პასუხისმგებლობით; მისი ქცევა სასამართლო დარბაზში ასევე არის სათანადო, რის გამოც ის სასამართლო სხდომას წარმართავს კარგად, გადაწყვეტილებასაც იღებს დაუხმარებლად და დამოუკიდებელი აზროვნების საფუძველზე; აქვს სტრესულ სიტუაციაში სწრაფად მუშაობის კარგი უნარი, რის გამოც არის პროდუქტიული.

„პროფესიული თვისებების (მათ შორის, ქვევა სასამართლო დარბაზში)“ მახასიათებლის მიხედვით, „კანდიდატს“ ვაფასებ 14 ქულით.

4.1.6. „კანონის“ 35⁷ მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმი „კადებიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა“ ამავე „კანონის“ 35⁷ მუხლის მე-17 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად ფასდება არაუმტეტეს 5 ქულით.

„კანდიდატი“ პროფესიული წვრთნის პროგრამებში ხმირად მონაწილეობს; ამდენად, მას გააჩნია სათანადო ინტერესი ახალი ცოდნისა და უნარების შემცნაზე, ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და შემცნილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში.

„კადებიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ ვაფასებ 4 ქულით.

4.1.7. „კანონის“ 35⁷ მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმი „პროფესიული აქტივობა“ ამავე „კანონის“ 35⁷ მუხლის მე-17 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად ფასდება არაუმტეტეს 5 ქულით.

„კანდიდატი“ ხმირად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებში სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში, სადაც საკუთარ პოზიციას (შეხედულებებს) გამოხატავს დიდ და თავისუფლად, იჩენს ინიციატივას და აუქნებს კარგ იდეებს/წინადადებებს, თუმცა არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

„პროფესიული აქტივობის“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ ვაფასებ 4 ქულით.

4.2. ყოველივე უმოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, „კანდიდატს“ ჯამურად ვაფასებ 90 ქულით.

გოგა კიკილაშვილი

14 / 04 / 2025

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი

⁷ კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-12 პუნქტით.